მიხეილ როკეტლიშვილი 85 წლისაა



გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრს, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ღირსების ორდენის კავალერს, დსთ-დან ემიგრატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ მიხეილ როკეტლიშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 85 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი.

ბატონი მიხეილი დაიბადა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, თბილისში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის, შემდეგ იურიდიული ფაკულტეტები. მუშაობდა სახელმწიფო საფინანსო დაწესებულებებში, შემდეგ პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. აქ ბატონმა მიხეილმა შეასრულა მრავალი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევა ეკონომიკისა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა საკითხებზე, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მას არ გაუწყვეტია კავშირი თავის მშობლიურ საქართველოსთან, რომლისადმი მხურვალე სიყვარულს იგი მრავალმხრივ გამოხატავს. ბატონი მიხეილი მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას და კეთილ განწყობას ახმარს ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობას, იღწვის მათი წარმატებისთვის ცხოვრების ყველა სფეროში. მან რამდენიმე წიგნი მიუღვნა ქართველ მეცნიერთა და ქართული წარმოშობის ებრაელ მოღვაწეთა, ქათველებსა და ებრაელებს შორის მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას და შემოქმედებით თანამშრომლობას და გამოაქვეყნა ნიუ - იორკში.

ბატონი მიხეილი არის მაღალი ზნეობის, მეგობრებისადმი უაღრესად ყურადღებიანი, თანამდგომი, ყველა ადამიანისადმი კეთილგანწყობილი, სამაგალითო ღირსებების პიროვნება.

მთელი სულითა და გულით გილოცავთ, ბატონო მიხეილ, სახელოვან საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, მტკიცე ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს ღრმაშინაარსიან შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ყველა სიკეთეს ვუსურვებთ თქვენს ოჯახს!

საერთაშორისო ჟურნალის „სოციალური ეკონომიკის“ რედაქცია,
ვახტანგ დათაშვილი –
მთავარი რედაქტორი, პროფესორი ,
პარმენ ლემონჯავა –
მთავარი რედაქტორის მოადგილე,
სარედაქციო კოლეგიის წევრები:
რუსუდან ქუთათელაძე –
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი,
ევგენი ბარათაშვილი –
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნეს-ადმინისტრიების დეპარტამენტის უფროსი,
გიორგი მალაშხია, ანზორ აბრალავა, კარლო ღურწკაია
(ამავე უნივერსიტეტის პროფესორები).